# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

27 თებერვალი
ხუთშაბათი
2025 წელი
№8 (9374)
ფასი 40 თეთრი


## საქართველოს ცესკოს და ახალგაზრდული სააგენტოს ერთობლივი მემორანდუმი




ცესკოსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ამ თანამშრომლობით, ცესკო და ახალგაზრდობის სააგენტო ხელს შეუწყობენ ერთმანეთს სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის გზით, ახალგაზრდა ამომრჩევლებს ჰქონდეთ წვდომა ზუსტ და კვალიფიციურ ინფორმაციაზე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს მკაფიოდ გააცნობიერონ საარჩევნო სისტემა, მათი, როგორც ამომრჩევლის უფლებები და ამ პროცესში ჩართულობის მნიშვნელობა.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



21 თებერვალს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გეგმიური სხდომა გაიმართა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი უძღვებოდა.

საკრებულოს გეგმიურ სხდომას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, ოთარ არბოლიშვილი ესწრებოდა.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მერიის წინადადებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ციხისჯვარში მდებარე უძრავი ქონების 2710 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემას;

ასევე მხარი დაუჭირეს მერიის წინადადებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით;

დეპუტატებმა მოიწონეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2025-2026 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება;

იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის თაობაზე;

ცვლილებები შეიტანეს „2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N(გ-17.17243595) განკარგულებაში;

იმსჯელეს, ბორჯომში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის (ჩიხი) სახელწოდების მინიჭებისა და დაბა ახალდაბაში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის (ქუჩა) სახელწოდების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **მამუკა ლურსმანაშვილის** და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **სალომე თედელურის** ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## ახალდაბაში აღდგება სტელა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში სტელას რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება.

## მალე დაიწყება საყრდენი კედლების რეაბილიტაცია

მიმდინარე წელს, ბორჯომში, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. ასევე, ქუჩების - გურამიშვილის №18, ნიკოლაძის №4 და სააკაძის №81.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – მოქმედებაში!



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო.**

დაბა ახალდაბაში და სოფელ ყვიბისში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, **ოთარ არბოლიშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ, ახალდაბაში და ყვიბისში მაცხოვრებლებთან ერთად, სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

## ქ რ ო ნ ი კ ა

2025 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა შემდეგი შემადგენლობით: **გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, არჩილ გოგელია, ნანა დევდარიანი, აკაკი სიხარულიძე, ბონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, ვახტანგ (გოჩა) ხუნდაძე.** სხდომას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო პრეზიდიუმის წევრი **ნანა ლომაია.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული გაზეთ „ასავალ-დასავალის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ლაშა ნადარეიშვილი.** საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის **გიორგი მამაცაშვილის** პირველ მოადგილედ დაინიშნა **ნანა დევდარიანი**, მოადგილეებად - **ბონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, აკაკი სიხარულიძე და ვახტანგ (გოჩა) ხუნდაძე**, ჟურნალისტთა ფედერაციის მდივნებად - **თეიმურაზ ქორიძე, თამარ ბოლქვაძე** და **გუგაზ მეგრელიძე.**

პრეზიდიუმმა იმსჯელა არაერთ აქტუალურ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტასაც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

## გვექნება ახალი სპორტული სკოლა და ბიბლიოთეკა

**ბორჯომის სასპორტო სკოლის და ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა.**

პროექტის ფარგლებში, რუსთაველის ქუჩის №107-ში მდებარე შენობის სრული



რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია განხორციელდება. შენარჩუნებული იქნება შენობის იერსახე, დამატებით დეკორატიული ელემენტების გამოყენებით.

რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდება სასპორტო სკოლა და ბიბლიოთეკა, მოეწყობა შესაბამისი დარბაზები, შიდა სავარჯიშო სივრცით, ასევე მოეწყობა სამკითხველო დარბაზი, მედიათეკის სივრცე, საკონფერენციო დარბაზი და საოფისე ოთახები.

სპორტის სახეობების და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, სწორედ ამიტომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით არაერთ პროგრამას ახორციელებს.

## მოჭარბებული თოვლისგან იწმინდება გზები

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გზების თოვლისგან გაწმენდა მიმდინარეობს, იყრება ტექნიკური მარილი. ამ დროისათვის უკვე გაიწმინდა ცენტრალური გზები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში - მოლითში, ბალანთაში, ჭიხარულასა და ტაბაწყურში მოსული უხვი ნალექის გამო გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მობილიზებულია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური და სპეცტექნიკა, ასევე თოვლისგან იწმინდება სოფლებთან მისასვლელი გზები.



## ერის ღირსეული მამულიშვილი



**გოგი თოფაძის** გარდაცვალებამ ძალიან დაგვწყვიტა გული.

იგი იყო ვაჟკაცობის ეტალონი, შესანიშნავი ბიზნესმენი და მეწარმე, სამშობლოს ერთგული და უღალატო შვილი.

გოგიმ უდიდესი წვლილი შეიტანა სამთო-სათხილამურო სპორტის და კერძოდ, ბაკურიანის განვითარების საქმეში. უამრავ ადამიანს ეხმარებოდა, განსაკუთრებით მძიმე 90-იან წლებში. უამრავ ადამიანს აღმოუჩინა ფინანსური და მატერიალური დახმარება.

ხსოვნა და ნათელი გოგი თოფაძეს!

**ოთარ გოცირიძე**,
სასტუმრო „აპოლონის“
მესაკუთრე.

ვიცოდეთ სამშობლოს წარსული

# გავუფრთხილდეთ უდიდეს მემკვიდრეობას

**ამიერკავკასია ქართველების სამშობლოა. ანუ, სადაც დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი. აქ ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებას. ეს ტერიტორია ითვლება ხორბლის ბევრი ჯიშის და კულტურული სახეობის სამშობლოდ. საქართველოში აღწერილია მსოფლიოში არსებული ხორბლის სახეობების 65 %-ზე მეტი. მევენახეობის სამშობლოდ საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500 ჯიში. ქართველები დამსახურებულად ამაყობენ ღვინის წარმოების რვა ათასი წლისთავით.**

ქართველები უძველესი მელითონე-მეტალურგები არიან. ქართველთა ეთნარქი თუბალ-კაინი ბიბლიაში მოიხსენიებს, როგორც „მჭედელი რკინისა და რკალისა“. ბერძნების, ხალიბების ქართველურ ტომს მიაწერდნენ რკინის მეტალურგიის, კერძოდ, ფოლადის გამოგონებას.

X-XIII საუკუნეებში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნისა და გაფურჩქვნის ოქროს ხანა იყო. ამ პერიოდში საქართველომ მიაღწია პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების მწვერვალს. ქართული ოქრო-მჭედლობა, ტიხრული მინანქარი, ხუროთმოძღვრება, მონუმენტური ფერწერა, და ბოლოს, მხატვრული ლიტერატურის საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის შედევრები, როგორიცაა ანჩის და ხახულის ხატები, ოშკის, ბაგრატის და სვეტიცხოვლის კათედრალები, ატენის და ყინწვისის ფრესკები, ქართული საგალობლები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა სასულიერო და კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ნამდვილად სამაგალითოა ევროპული ქვეყნებისათვის.

ქრისტიანობამ საქართველოში ჯერ კიდევ მოციქულთა ხანაში შემოაღწია, აქ იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და სხვებმა. საქართველომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში 326 წელს წმინდა ნინოს ქადაგებით ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

საქართველოს გარეშე მტერი არასდროს აკლდა. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იყო.

იერარქიულად მკაცრად ჩამოყალიბებული იყო ფეოდალურ საზოგადოებაში ყოველი კლასის განსაკუთრებული ფუნქცია. გლეხი მიწას ამუშავებდა, ხელოსნობას და ვაჭრობას თავისი საქმის მცოდნე ხალხი წარმართავდა; სამღვდელოება ღვთისმსახურებაზე, წიგნიერებაზე ზრუნავდა; თავად-აზნაურობა კი, ქვეყნის სამხედრო ძალას წარმოადგენდა.

ქართველებს საუკუნეების მანძილზე უამრავი ომისა და ბრძოლის გადალახვა მოუხდა საკუთარი სამშობლოს დასაცავად.

XVI საუკუნეში საქართველოს ჩრდილოეთიდან დაუმეგობრდა რუსეთის სახელმწიფო. ქვეყნის ხელისუფალთ იმედი ჩაესახათ, რომ ჩრდილოელი მეზობელი დაეხმარებოდა ისლამური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როგორც ჩანს, ქვეყნებს შორის ერთმორწმუნეობა ბევრს არაფერს ნიშნავს; ამიტომაც იყო, რომ რუსეთთან პირველივე კონტაქტებმა სავალალო შედეგი მოუტანა.

საქართველოსთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო სამეფო და სათავადაზნაურო საგვარეულოების წარმომადგენელთა იძულებითი ემიგრაცია რუსეთში, რომელიც XVII საუკუნიდან დაიწყო. განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1724 წელს ვახტანგ VI-ის გადახვეწა რუსეთში 1200 კაცის თანხლებით. ქართლს გაეცალა ინტელექტუალური ელიტა, სამაგიეროდ, ქართველების სახით რუსეთმა შეიძინა სახელოვანი მხედართმთავრები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

1801 წელს, რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 1783 წლის ხელშეკრულება და მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია, რასაც 1810 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებაც მოჰყვა, რითიც საქართველოში დასრულდა ბაგრატოვანთა ათასწლოვანი მეფობის ხანა: სამეფო სახლის წარმომადგენლები რუსეთში გადაასახლა და ქართველი თავადაზნაურობა უფლებებით რუსეთის კნიაზებს და დვორიანებს გაუტოლეს.

ქართველმა თავადაზნაურობამ ისტორიული ფუნქცია დაკარგა. ნაწილი რუსეთის სამხედრო მანქანის სამსახურში ჩადგა.



ნაწილი სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის გენერალიტეტის და ოფიცერთა კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული წარმოშობის იყო. რუსეთის უნივერსიტეტებში გამოჩნდნენ ქართველი პროფესორები და აკადემიკოსები.

XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. აღდგა გაუქმებული საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია, მაგრამ არც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ დააცალა რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ.

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია ხელახლა მოახდინა. 70 წელი ისევ რუსეთის უღელქვეშ მოუხდა ქართველ ერს ცხოვრება.

ასეთი მძიმე წლების მიუხედავად, ქართველი ერი ცოცხალია და მტკიცედ იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ერში კი ისევ ცოცხალია წარსულის ხსოვნა.

მოამზადა **ვალერიან ლომიძემ**

# დიდმნათობიანი — თამარ მეფე



**თამარ მეფე ძალიან მორწმუნე იყო, ვერ მოხიბლა ჩვენი ხელმწიფე წუთისოფლის გასართობებმა, ვერც ძალაუფლებამ, ვერც გვირგვინმა და სკიპტრამ, ვერც უამრავმა თვალ-მარგალიტმა, ვერც ჯარის სიმრავლემ და სიძლიერემ.**

მამასავით და თავისი დიდი წინაპრის, ისრაელის ბრძენი მეფე სოლომონის მსგავსად, ბრძენი იყო და მუდმივად ლოცულობდა - **„ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკრვებელ აქუნდა“. სახელმწიფო საქმეებისგან თავისუფალ** დროს ან ლოცულობდა ან ხელსაქმობდა. ეს გართობა კი არ იყო, არამედ შრომა - უფლისა და ადამიანთა მსახურება.

თამარ მეფეც ღამით ხშირად იღვიძებდა, ლოცულობდა, მეტანიობდა და ყოველ ღამით ხელსაქმობდა - ქსოვდა, კერავდა.

დიდ საქართველოს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა, მდიდარი ხაზინა, ბიუჯეტი. ხაზინიდან ფინანსდებოდა ქართული ჯარის შენახვა და ლაშქრობები, დაზვერვა, სპეცსამსახურები, გზების გაყვანა, განახლება, ხიდების აგება, წყალგაყვანილობების შექმნა, ქალაქების მშენებლობა, ქუჩების შეკეთება და სხვა.

ბიუჯეტის ნაწილი იხარჯებოდა მმართველობის სისტემაზე, სახელმწიფოს აუცილებელ პროექტებზე, ხელქვეითების შენახვასა და სხვა საქმეებზე.

მნიშვნელოვანი იყო, ასევე, სასახლეებისა და ცერემონიების ხარჯებიც, რადგან საქართველოში ბევრი ელჩი და სტუმარი ჩამოდიოდა და მათ შესაბამისი დახვედრა სჭირდებოდა. სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა კულტურული ღონისძიებები: წიგნების გადაწერა, ხელოვანთა შენახვა, ეკლესია-მონასტრებისა და სასახლეების მოხატვა და გამშვენება. საქართველოს სახელმწიფო დიდი იყო და ტოლს არ უდებდა არც ერთ დიდ სახელმწიფოს ამ საქმეში, შესაძლოა, აჭარბებდა კიდეც. ეკლესიასაც ეხმარებოდნენ - ჰქონდა შეუვალობა, დიდი ქონება და თვითონაც ძალიან ძლიერი იყო. მონასტრებს დიდ შესაწირს სწირავდა მეფე თამარი, აგებდა ტაძრებს. კულტურის განვითარებისთვისაც დიდი თანხები იყო გამოყოფილი.

ამ ყველაფერთან ერთად, მაშინდელი ბიუჯეტის ძალიან სერიოზული ნაწილი უპოვართა სოციალური დახმარებებისთვის გამოიყენებოდა, ღატაკთა დახმარებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი თანხა ხმარდებოდა სამკურნალო დაწესებულებებს. სადაც მკურნალობა, რა თქმა უნდა, უფასო იყო.

ამასთან ერთად, თამარი ეწეოდა პირად ქველმოქმედებას, როგორც ადამიანი, ერთი პერსონა და არა როგორც მეფე. თავისი ხელით ქმნიდა ხელმოკლე ადამიანებისათვის ტანსაცმელს, ართავდა, ქსოვდა, კერავდა, ქარგავდა, და თავის პირად ნაშრომს გაჭირვებულებს ურიგებდა.

ერთხელ ხანგრძლივი „ლოცვისა და ხელსაქმარისა მიერ მაშურალმან“ მიიძინა. სიზმარში იხილა ძალიან ლამაზი ადგილი, ყვავილებით, მცენარეებითა და ნერგებით გამშვენებული. იმდენად ლამაზი, მთხრობელი რომ ვერ აღწერს, რადგან შეუძლებელია სამოთხის აღწერა.

იდგა ოქროსა და ვერცხლის სარკმლებით შემკული საყდრები. იდგა გამშვენებული სკამები დამსახურებული ადამიანებისთვის, საქმეების მიხედვით მათ დასაფასებლად. სულ მაღლა იდგა ოქროს ტახტი, ყველაზე მაღალი, ლამაზი და საპატიო, შემკული პატიოსანი თვლებითა და მარგალიტებით. ამ სამოთხეში შეიყვანეს ,,ჭეშმარიტად ღირსი ჩვენი დედოფალი“. იხილა ტახტი და გაიფიქრა: **„მეფე ვარ თვითმპყრობელი და ჩემი არის ეს უზენაესი და უმთავრესი ტახტიო“ და გაემართა მასზე დასაჯდომად. მაგრამ მეფეთ-მეფეს წინ დაუდგა ნათლით მოსილი კაცი, მოჰკიდა ხელი და უთხრა: „შენი არ არის ეს დასაჯდომი, შენ ვერ შეძლებ მის დაკავებას!“**

ხელმწიფემ ჰკითხა: „ვინ არის ჩემზე უპატიოსნესი, რომელიც დაიკავებს ამ პატიოსან ტახტს?“

ნათლითმოსილმა კაცმა უპასუხა: „ეს ტახტი შენი დიასახლისის, მოსამსახურის არის, რადგან თორმეტ მღვდელს აცვია მის მიერ შექმნილი შესამოსელი და იმ სამოსლით წარდგებიან ტრაპეზთან უსისხლო და პატიოსანი მსხვერპლის შეწირვისას. ამიტომ ეს დედაკაცი შენზე მაღლა დგას. და თუ შენ მეფე ხარ, შენთვის ეს დიდებაც საკმარისია, შენი საყოფი ესაა“ და უჩვენა უფრო მდაბალი დასაჯდომელი.

თამარ შვიდმნათობიერმაც დაიწყო ზრუნვა, საკუთარი ხელით შექმნილი ტანსაცმლით მღვდლების შემოსვაზე. ალექსანდრიიდან ვაჭართა მიერ შემოტანილი მატყლის დართვა, ნაჭრების დამზადება და თორმეტი სამღვდელო შესამოსლის შეკერვა.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია - რა ფასის საჭმელსაც შეჭამდა დღეში, იმ ფასის ნივთს, თავისი ხელით შექმნილს, გაყიდდა ხოლმე და მიღებულ ფულს გლახაკებს აძლევდა, რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის 10 პროცენტის გარდა. ან გლახაკებს უქსოვდა და უკერავდა ტანსაცმელს იმ ფასისას, რასაც ჭამდა. ანუ, უფასოდ სახელმწიფოს ხარჯზე არაფერს ჭამდა.

ღვთისმსახურება მის სასახლეში დაუკლებლად აღესრულებოდა, როგორც ტიპიკონი მოითხოვს და განწესება პალესტინის მონასტრისა, ზუსტად ისე. სამეფო კარზე მყოფი ვერავინ დააკლდებოდა წირვა-ლოცვას, დილას, სამხრისას, მწუხრისას...

ასეთი იყო ჩვენი ხელმწიფე - მეფეთ მეფე და დედოფალთ-დედოფალი თამარი.

მოიძია **ნატო მელიქიძემ**

საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

# ვასილ მჟავანაძე და სანატორიუმი „ლიკანი-ბორჯომი“

**ბორჯომის მინერალური წყლის წარმოების განვითარებისათვის, კავკასიის მეფისნაცვალის - მიხეილ რომანოვის შემდეგ, განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.**

მინერალური-სამკურნალო წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც მინწყლების პარკში მდებარეობდა. 1890 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და 1956 წელს ჩარხისწყალზე აშენდა თანამედროვე ქარხანა, ამ ქარხნის და ყვიბისში მშენებარე №2 ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ვასილ მჟავანაძეს. ეს ქარხანა საზეიმოდ გაიხსნა 1970 წელს, თვით ვასილ პავლოვიჩის მიერ. ამგვარად შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“.

მალე ქარხანამ 240 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“ ჩამოასხა. ამ დროს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში: გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, ამერიკაში, კანადაში, ინდოეთში, ვიეტნამში, სირიაში და სხვა ქვეყნებში, ათასი ბოთლი ჩამოსხმული „ბორჯომი“ იგზავნებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი ეკავა მინის დასამზადებელი კვარციანი სილის მარაგებით. ამიტომ, მინერალური წყლების მინის ჭურჭელიც საქართველოში მზადდებოდა და როგორც “ბორჯომის” საწარმოო გაერთიანება, ისე სხვა მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოები, ადგილზე წარმოებული ჭურჭელით მარაგდებოდა.

მრავალი წელი სანატორიუმ ბორჯომ-ლიკანს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, **პეტრე იოსელიანი**, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო მომსახურების დარგის განვითარებისა და საკურორტო მეურნეობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი პეტრე იოსელიანის მეუღლე ქალბატონი თამარი იხსენებს: ,,ჩემი მეუღლე - პეტრე იოსელიანი - 1962-1998 წლებში ლიკანის სანატორიუმის მთავარი ექიმი გახლდათ. ცხადია, ის კარგად იცნობდა ვასილ მჟავანაძეს და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყო მის მიმართ განმსჭვალული, რადგან მასში საქართველოსთვის მართლაც თავგადაკლულ პიროვნებას და ერისკაცს ხედავდა“.

მეფისნაცვლის მიერ მტკვარზე გადებული ,,ამბორის ხიდი“ ლიკანის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იყო, მაგრამ 1968 წელს საგაზაფხულო წყალდიდობამ ისიც მოწყვიტა და ლიკანის ეს მშვენება წყალმა წაიღო. პეტრემ უმალ ვასილ პავლოვიჩს აცნობა ლიკანში დატრიალებული უბედურების თაობაზე. მჟავანაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საკავშირო მთავრობას ოპერატიულად გამოეყო სათანადო სახსრები სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად. ცენტრიდან ასი მილიონი მანეთი დააშვებინა.

ამ თანხების მეშვეობით მტკვარი კურორტ-ქალაქის ფარგლებში ნაპირსამაგრი კედლების არტახებში მოექცა. სწრაფად აღდგა დაზიანებული უბნები. მჟავანაძემ „მეტრომშენის“ უფროსს, ვიქტორ გოცირიძეს ლიკანში ზუსტად ისეთივე „ამბორის“ ხიდის გაკეთება დაავალა, როგორიც რომანოვების დროს იყო.

სამწუხაროდ, ვასილ მჟავანაძის დროს ლიკანის ხიდის აღდგენა ვერ მოასწრეს და ხიდი 1977 წელს ჩადგა მწყობრში. მართალია, ზუსტად ისეთივე არ გამოვიდა, მაგრამ მიმსგავსებულია.

ამ ხიდის პატარა ნაწილი მტკვარმა გამორიყა და ის ამჟამად მინწყლების პარკში,



ბიუვეტის წინ, მდინარე ბორჯომულაზეა გადებული. ლიკანში აღდგენილი ხიდი სწორედ ამ ცისფერი ხიდის გადარჩენილი ფრაგმენტის მიხედვითაა შექმნილი.

პეტრე იოსელიანის დირექტორობის წლებში სანატორიუმში ბევრი რამ გაკეთდა. რომანოვების დროინდელი საჯინიბოს ნაცვლად, შესანიშნავი პოლიკლინიკა აშენდა, დამსვენებელთა აგარაკებში კორიდორების სისტემა იყო საერთო სარგებლობის ტუალეტითა და აბაზანით, რომლებიც მაშინაც კი ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს.

ლიკანის აგარაკების გადაკეთება და კეთილმოწყობა მჟავანაძის დროს დაიწყო. ვასილ პავლოვიჩი ძალზე აფასებდა ჩემს მეუღლეს და ხშირად ეტყოდა ხოლმე: - მთხოვე რამე, არაფერი გჭირდებაო? პეტრეც საქმისათვის თავგადაკლული გახლდათ. თავისთვის არასოდეს არაფერი უთხოვია, მუდამ ლიკანზე ზრუნავდა. ან სამკურნალო კორპუსის აშენებას სთხოვდა, ან კიდევ - საცხოვრებელი აგარაკისას... აბსოლუტურად ყველაფერი, რასაც პეტრე ითხოვდა - კეთდებოდა. სწორედ მაშინ აშენდა არაჩვეულებრივი პოლიკლინიკა, საძინებელი კორპუსი, კლუბი, სასადილო...

ერთხელ, პეტრემ ვასილ პავლოვიჩს სთხოვა, -დამსვენებლებისთვის სამკურნალო წყალი ბორჯომიდან ამოგვაქვს და იქნებ ლიკანში ჭაბურღილი მოვიძიოთო. მჟავანაძემ ეს საქმე პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, იოსებ ბუაჩიძეს დაავალა. ერთი წელი მუშაობდა ბუაჩიძე და ბოლოს, ბორჯომის წყალმაც ამოხეთქა სანატორიუმის ეზოში. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული იყო ეს პეტრესათვის. მერე წყალი სამკურნალო კორპუსშიც შეიყვანეს, რათა დამსვენებელს მინერალური წყლის აბაზანების მიღება შეძლებოდა.

ლიკანში, რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწერლების კონფერენცია მოეწყო. სწორედ მაშინ დაიწყო ლიკანის რეკონსტრუქცია. კორიდორული სისტემა მოისპო, აღარ იყო საერთო სარგებლობის სველი წერტილები. ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდა. ლიკანს სამასი მწერალი სტუმრობდა და ყველას კომფორტული პირობები ჰქონდა შექმნილი.

ბატონი პეტრე იოსელიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სანატორიუმის ტერიტორიის მოვლა-პატრონობას. მისი ხელმძღვანელობით პარკის ტერიტორიაზე უნიკალური ხე-მცენარეები შემოიტანეს და გაახარეს. ცნობილი დენდროლოგები და მეცნიერები სანატორიუმ ,,ბორჯომი-ლიკანის“ პარკს ,,ედემის ბაღად“ მოიხსენიებდნენ და ეს შეფასება არ იყო პათეტიკურად ნათქვამი, ნამდვილად ,,ედემის ბაღში“ სეირნობდნენ აქ ჩამოსული დამსვენებლები.

**მარიკა გელაშვილი,**
**არქიტექტორი.**

საოჯახო ბიზნესი

# გამბედაობა და ნებისყოფა მნიშვნელოვანია!

**ხათუნა დევიძემ** და **სერგი ხაჩიძემ** ერთმანეთი სრულიად შემთხვევით გაიცნეს. წყვილს ორი ქალიშვილი - ბარბარე და ანასტასია ჰყავთ. ხათუნა თერჯოლიდან გახლავთ, სერგი ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა. 2005 წელს ხათუნამ გადაწყვიტა, პროფესიონალურ დონეზე მზარეულის საქმის შესასწავლად სამშობლოსაგან შორს, მოსკოვში წასულიყო. ხათუნა 7 წლის მანძილზე მეგრულ რესტორან „ოდიში“ მუშაობდა. სწორედ მოსკოვში მუშაობის დროს დაუკავშირა საკუთარი ბედი მომავალ მეუღლეს. დაქორწინების შემდეგ წყვილი საქართველოში დაბრუნდა და კურორტ ტბაზე, ბებია-პაპისეულ სახლში დაიწყეს ცხოვრება, სადაც უკვე რამდენიმე წელია საოჯახო ბიზნესი აქვთ, - საოჯახო სასტუმრო „ბაბის“ უძღვებიან, ხოლო სასტუმროს ბიზნესს სულ ცოტა ხნის წინ რესტორნის ბიზნესიც დაუმატეს. რესტორან „ოჯახურ“-ში მფლობელიც, მზარეულიც და ხელმძღვანელიც თვითონვე ხათუნაა. ამ ეტაპზე რამდენიმე დამხმარე ადამიანიც ჰყავს. სამომავლოდ კი უფრო მეტ სიახლეებს პირდებიან მომხმარებლებს. საკუთარ საქმიანობაზე შეყვარებულ ქალბატონს კურორტ ტბაზე ვესტუმრე, შესანიშნავ რესტორანში კერძებიც დავაგემოვნე და ვთხოვე, იმ საქმიანობის შესახებ ესაუბრა, რომელსაც წლებია მეუღლესთან ერთად ემსახურება და რასაც სამომავლოდ გეგმავენ:



**● პირველ რიგში გილოცავთ შესანიშნავ სიახლეს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ შესანიშნავ საკურორტო ზონაში მეტად სასიამოვნო სიახლეა. რაც შეეხება კითხვას, როგორ გაიხსენებთ პირველ ნაბიჯებს თქვენ საქმიანობაში?**

- იქიდან გამომდინარე, რომ დედა საოცრად კარგი მზარეული იყო, მეც თავისთავად ვისწავლე კულინარია. ბიძების დახმარებით კვალიფიკაცია ავიმაღლე აღნიშნულ სფეროში. პირველი ხელფასი როდესაც გადამიხადეს, ჩემ სიხარულს და გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ბედნიერი ვიყავი, რომ უფროსებმა ჩემი მონდომება დააფასეს. 7 წელი ვიმუშავე მოსკოვში, მერე ოჯახი შევქმენით და სამშობლოში დავბრუნდით.

**● მეტად საინტერესოა მეუღლის გაცნობის ისტორია...**

- ყოველ საღამოს, სამსახურის შემდეგ დედასთან ვრეკავდი ხოლმე და ერთ დღესაც, სრულიად მოულოდნელად, სერგოსთან მოვხვდი. უხეშად მიპასუხა, საათი არ გაქვს ამ დროს რომ რეკავო? ისეთი დაღლილი ვიყავი, ხმა არ გამიცია, გავუთიშე. სამი დღის შემდეგ კი თვითონვე დამირეკა, ბოდიში მომიხადა უხეშობისთვის. მარხვა იყო და თურმე მონასტერში ყოფილა. მოკლედ, იქიდან დაიწყო ყველაფერი, დავმეგობრდით, შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა, დავვოჯახდით, ერთად დავიწყეთ მუშაობა.

**● საქართველოში დაბრუნება როდის გადაწყვიტეთ? და რამდენად რთული იყო სრულიად უცხო და ახალ გარემოში ცხოვრების დაწყება?**




- 2014 წელს, როდესაც პირველ შვილზე ვიყავი ორსულად, მაშინ გადავწყვიტეთ დაბრუნება. ახლაც მახსოვს, უფროსებს არ უნდოდათ ჩვენი გამოშვება, თუმცა სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება იმდენად მყარი იყო, რომ დავბრუნდით. კურორტ ტბაზე ჩემი დედამთილის დედის სახლია. დედამთილი ემიგრაციაში ცხოვრობს და როდესაც ვესაუბრებოდით, მას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ სწორედ აქ დავბრუნებულიყავით. დედამთილი წლებია თავდადებული შრომით გვერდში გვიდგას, ის ჩვენთვის დიდი ძალა და იმედია. რა თქმა უნდა, სერგის დიდი სურვილიც იყო. მისთვის აქ დაბრუნება მის ბავშვობასთან, საუკეთესო მოგონებებთან და წარსულის ფესვებთან დაბრუნება იქნებოდა. ოჯახის გვერდში დგომით, ჩვენი დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად აღვადგინეთ ხის ძველი სახლი, რომელიც ფაქტიურად, დანგრევის პირას იყო. თუმცა, დღეს უკვე 8 ნომერი გვაქვს. გახსნის დღიდან უამრავი ადამიანი გვსტუმრობს. ვცდილობთ, ყველა სტუმარს ისე ვაგრძნობინოთ თავი, როგორც საკუთარ ოჯახში. შესანიშნავი ბუნებაა, ჰაერია, აქვეა სერაფიმ საროველის ტაძარი, წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერი, ტიმოთეს უბანი, არც ისე შორსაა მწვანე მონასტერი. მოკლედ, სანახავი ბევრია.

**● სულ ცოტა ხნის წინ რესტორნის ბიზნესიც დაიწყეთ. ამაზეც ვისაუბროთ...**

- წლის ნებისმიერ დროს გვყავს დამსვენებელი. სწორედ ამიტომაც, მათი სურვილები ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. მათ მოსწონთ ყველაფერი ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავენ. დასვენებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო მათთვის გასტრონომიული მხარეც. ეზოში ფართობი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ჩანაფიქრი რეალობად გვექცია და სულ ცოტა ხნის წინ გავხსენით რესტორანი „ოჯახური“. მართლაც საოცრად ოჯახური და მყუდრო გარემო გამოგვივიდა, რასაც მოსული სტუმრებიც აღნიშნავენ.

**● მენიუს რაც შეეხება, ძირითადად, რა სახის კერძებზე ხართ ორიენტირებულნი?**

- ტურისტებს ძალიან მოსწონთ ნამდვილი ქართული, ტრადიციული კერძები. ამიტომაც, ამ ეტაპზე, სტუმრებს თითქმის სრულად ვთავაზობთ ქართული კერძების ნაირსახეობას, ეს იქნება თბილი თუ ცივი კერძები, ასევე სასმელებიც. თუმცა, სეზონზე ვაპირებთ, რომ დესერტებიც დავამატოთ, რაც ზაფხულს ნამდვილად მოუხდება.

**● სამომავლოდ კიდევ რას გეგმავთ?**

- აუცილებლად გვექნება ღია ვერანდა. ასევე ვაპირებთ დამხმარე პერსონალიც ავიყვანოთ, რადგანაც სეზონზე მეტი დამსვენებელი გვეყოლება და ამის აუცილებლობაც იქნება. მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს როგორც რესტორნის დახურული სივრცით, ასევე ღია ვერანდით. სრულად ორიენტირებულნი ვართ მომხმარებელთა სურვილებზე.

**● ბოლოს მინდა გკითხოთ, დამწყები ბიზნესი ვისაც აქვთ ან აპირებენ მსგავსი ტიპის ობიექტის გახსნას, რას ურჩევდით?**

- პირველ რიგში ჰქონდეთ უფლის რწმენა, გამბედაობა და ნებისყოფა. ჩვენც გვქონდა ხელისშემშლელი ფაქტორები. ადამიანების მხრიდან მოდიოდა ცოტა ნეგატიური დამოკიდებულებაც, თითქოს არ სჯეროდათ ჩვენი. გვეკითხებოდნენ, ნეტავ, თუ გაამართლებდა ჩვენი წამოწყება. თუმცა, როდესაც არის რაღაცის კეთების ძალიან დიდი სურვილი და გვერდით გყავს ადამიანი, რომელიც სტიმულს გაძლევს, ამ დროს შეუძლებელი არაფერია.

მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# ნიჭიერი თაობა

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ტელეკომპანია „ბორჯომიდან“ დამიკავშირდა გადაცემის ხელმძღვანელი, რომელმაც მთხოვა, თუ ვიქნებოდი თანახმა, როგორც ჟურნალისტს, დედას და რეალიზებულ პიროვნებას, ჩამეწერა ინტერვიუ ახალგაზრდა ჟურნალისტთან, რომელიც სიუჟეტს მოამზადებდა ჩემს შესახებ. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგანაც მახსოვს ჩემი ბავშვობა, როდესაც ვიყავი მისი ტოლი და როგორ გულისფანცქალით ველოდებოდი ხოლმე თითოეულ რესპონდენტთან შეხვედრას. სწორედ მაშინ გავიცანი პატარა, უსაყვარლესი და უნიჭიერესი გოგონა, **ელენე დათუნიშვილი**, რომელიც პროფესიონალი ჟურნალისტივით მისვამდა კითხვებს. დღეს კი, ჩვენი როლები შეიცვალა და ჩემი რესპონდენტი ელენე და მისი დაიკო - **ნანიკო** იქნებიან. გოგონები ბორჯომის №1 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. ელენე XI კლასის მოსწავლეა, ხოლო ნანიკო IX კლასში სწავლობს. გოგონები ბორჯომის ტრენინგ ცენტრში კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველო“-ს სტიპენდიანტები არიან. ნიჭიერ ახალგაზრდებს ჩვენი გაზეთის მკითხველიც აუცილებლად უნდა იცნობდეს. გთავაზობთ ინტერვიუს **ელენე და ნანიკო დათუნიშვილებთან:**





**● გოგონებო, მადლობა თქვენ, მიუხედავად დროის სიმცირისა, ინტერვიუზე დამთანხმდით. რაც შეეხება კითხვას, წარჩინებული მოსწავლეები ხართ და თავისთავად ყველა საგანს ერთნაირად სწავლობთ. თუმცა, მაინც თუ გაქვთ გამორჩეული საგნები?**

ელენე: - განსაკუთრებით მიყვარს ქართული, ისტორია, ფიზიკა.

ნანიკო: - მე ისტორია მიყვარს.

**● ტრენინგ ცენტრში სკოლის საგნების გარდა კიდევ რომელ საგნებს სწავლობთ?**

ნანიკო: - ტრენინგ ცენტრში ფერწერის, ლიდერთა გუნდისა და ქართული ლიტერატურის კლუბის წევრი ვარ.

**● სკოლისა და ცენტრის გარდა კიდევ რითი ხართ დაკავებული?**

- ელენე: - სკოლის საგნების გარდა, რადგან დამამთავრებელი კლასების მოსწავლე ვარ, დამატებით ვუთმობ დროს სხვადასხვა საგნებს. ასევე გახლავართ საქართველოს წითელი ჯვრის ახალგაზრდა კლუბის წევრები, ვმონაწილეობთ სხვადასხვა არასამთავრობო პროექტებში.

ნანიკო: - დაკავებული ვარ ინგლისური ენის შესწავლით, რომელიც პროგრამა „ეცცეს“-ში მიმდინარეობს. ასევე ვეუფლები ფორტეპიანოსა და გიტარას.

**● რამდენად დიდია მოტივაცია თქვენთვის, როდესაც ამხელა კომპანიის სტიპენდიანტები ხართ?**

ნანიკო: - რა თქმა უნდა, მოტივაცია დიდია. უკეთესად სწავლისთვის, უფრო მეტი მონდომება და შემართებაა.

ელენე: - სწავლის მხრივ უფრო მეტად მონდომებული ხარ, როდესაც იცი, რომ მიზანი გაქვს.

**● სამომავლო პროფესიებზე თუ გიფიქრიათ?**

ელენე: - დიახ, ზუსტად ვიცი, რომ სამომავლოდ მსურს ფილოლოგიას გავყვე, რადგან ეს პროფესია საოცრად მიზიდავს.

ნანიკო: - მინდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე გავაგრძელო სწავლა ან იურიდიულზე. ჯერ დრო მაქვს მოსაფიქრებლად.

**წარმატებებსა და ყველა ჩანაფიქრის ასრულებას გისურვებთ.**

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

ისტორიის ლაბირინთებში

# უსახელო მეფეთა საგანძური

**მალე** გამოჩნდა მეორე სამაროვანი, რომელიც 2 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. მიცვალებული ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში შეფუთული იყო, რომელზეც დამაგრებული იყო რამდენიმე ასეული ოქროს გულსაბნევი. როდესაც თავთან გაწმინდეს მიწა, გამოჩნდა ტიარის მსგავსი მასიური ოქროს თავსაბური, რომელზეც ჩამოკიდებული იყო იშვიათი სილამაზის ოქროს ბურნუკები, ძველი ოსტატების ნამდვილი შედევრები. თითოეული ბურნუკის ცენტრში მოთავსებული იყო ადამიანის მინიატურული ფიგურა, რომელსაც ფოცხვერის მსგავსი თვალები ჰქონდა. არქეოლოგები დარწმუნდნენ, რომ სამარხში დამარხული იყო მონარქი. ფიგურის თავზე აღმოაჩინეს ასევე მინიატურული გვირგვინი, რომლის ორივე მხარეს დამაგრებული იყო დრაკონის მსგავსი ფრთოსანი ფანტასტიკური არსებები. ასეთი გვირგვინები ჰქონდათ ჩვენი წელთაღრიცხვით IV-VI საუკუნეებში სასანიდურ მონარქებს. არქეოლოგებმა არ იცოდნენ, რომ მალე დაადგენდნენ რომელ პერიოდში იყო დამარხული ბაქტრიელი მონარქი. მიცვალებულს ყბის არე აკრული ჰქონდა ოქროს ლენტით, რათა სიკვდილისას არ ჩამოვარდნილიყო. მიწაში ღრმად ჩასვლის შემდეგ, გამოჩნდა მასიური ოქროს ფრთოსანი ქალის ფიგურა. მის მარცხენა მხარეს გამოჩნდა ფრთოსანი ეროტის ფიგურა, რომელსაც ხელები ჰქონდა წინ გამოშვერილი შვილდით ხელში.

მთელი ეს კომპოზიცია ეჭვს არ ბადებს, რომ ეს არის ბერძენ ქალღმერთის აფროდიტას ტიპის ფიგურა, არაპროპორციული ნაკვთებით, მოკლე ფეხებით და ვულგარულად გამობერილი მუცლით. რა თქმა უნდა, ამ დროს ბაქტრიაში იყვნენ ელინისტური ხელოვნების ნაზიარები როგორც ბაქტრიული, ისე ბერძენი ოსტატები, რომლებიც აფროდიტას ასეთი მახინჯი ფორმებით არ შექმნიდნენ. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ აქ საქმე ჰქონდათ მომთაბარე ტომებში გავრცელებულ ქალღმერთის ფიგურასთან. და კიდევ, ერთი მკვეთრად განსხვავებული შტრიხი; ბაქტრიულ აფროდიტას მხრებზე წამოსხმული აქვს ფრთები. არც ბერძნული აფროდიტა, არც რომაული ვენერა არსად არ გვხვდება ფრთებით. ასეთი ფრთოსანი ქალღმერთები გავრცელებული იყო ბრინჯაოს ხანის ბაქტრიაში, რაც დოკუმენტურად დასტურდება იმ პერიოდის ბეჭდებზე. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ II ათასწლეულიდან მოხდა ბაქტრიული და ელინისტური კულტურების შერწყმა, რის შედეგადაც მიიღეს ასეთი კომპოზიცია - ბაქტრიულ ქალღმერთს ხელში უჭირავს ბროწეული, აღმოსავლეთის პანთეონის ქალღმერთ ანახიტას განუყრელი ატრიბუტი.



ყელზე მიცვალებულს ეკეთა მასიური ოქროს ყელსაბამი, რომელზეც ოქროს ფირფიტებთან ერთად ასხმული იყო სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი მძივები. სხეულის მთელი ზედა ნაწილი დაფარული იყო სხვადასხვა ფორმის ოქროს გულსაბნევებით. განსაკუთრებით მდიდრულად იყო გაფორმებული ადრე არსებული ტანსაცმლის სახელოები, რომელზეც ჩაკერებული იყო მასიური ოქროს ამულეტი - თილისმები, რომლებსაც ჰქონდათ სხვადასხვა ცხოველების ფორმები. თითოეულის წონა 300 გრამი. მკერდზე მიცვალებულს ედო მრგვალი სარკე, რომელიც აჭრელებული იყო ჩინური იეროგლიფებით, რაც მის წარმომავლობას უეჭველს ხდიდა. მიცვალებულის ფეხებთან იდო დიდი ვერცხლის ჭურჭელი და კალათი, რომელშიც ეწყო რკინის დიდი საბრძოლო ნაჯახი და სკვითური ფორმის დანა. როგორც ჩანს, აქ დაკრძალული იყო მეომარი: ფეხებთან იდო მასიური ოქროს წვივსაკრავები, რომელთა წონა 350 გრამი იყო.

მდიდრული ინვენტარის გათვალისწინებით, სამარხში მაღალი თანამდებობის პირი იყო დამარხული.

არქეოლოგებმა მიაკვლიეს მესამე სამარხს. მათ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშალა. მთელი სამაროვანი განადგურებული იყო თაგვების მიერ. მათი არაერთი შთამომავლობა ღრნიდა როგორც ძვლებს, ისე ოქროს ნივთებს. გამოჩნდა სამი დიდი სორო, რომლებიც სამ მეტრზე ჩადიოდა. ყველა სოროდან არქეოლოგებმა ამოიღეს 1000-მდე წვრილი ოქროს ნივთები: გულსაკიდები, მძივები, ღილები. ამ სამარხის გამოკვლევის შემდეგ გასაგები გახდა ამ გორაკის დასახელება - „ტილი-ტეფე“ (ოქროს გორაკი). ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც მინდვრებში პოულობდა ოქროს ნივთებს, ალბათ ამ სამაროვნიდან იყო. მიცვალებულის თავთან გამოჩნდა მასიურფურცლოვანი ოქროს ფირფიტებისგან შემდგარი ასაწყობ-დასაშლელი გვირგვინი. თაგვებმა სიმძიმის გამო, ამ ფირფიტების სოროში ჩატანა ვერ შეძლეს.

მიცვალებულის ფეხებთან იდო ოქროს დიდი ჭურჭელი, რომელიც სავსე იყო სხვადასახვა ოქროს ნივთებით. მათგან აღსანიშნავია თხელი ფურცლოვანი ოქროსგან გამოჭედილი ნახევარმთვარე, რომელზეც ჩამოკიდებული იყო სამი ოქროს ბურნუკი.

კისრის არეში იდო მასიური 850 გრამიანი ოქროს ფაფარი, რომელსაც არავითარი მხატვრული ღირებულება მას არ გააჩნდა. მის შიგნით მოთავსებული იყო ჩინური იეროგლიფებით აჭრელებული სარკე. ხელის მტევნების და ფეხის ტერფების არეში იდო 300 გრამიანი ოქროს წყვილი სამაჯურები.

კუბო ისე იყო გადატენილი ოქროს ნივთებით, რომ თავისუფალი ადგილის უქონლობის გამო, მიცვალებულის ფეხებთან იდო კერამიკის სამი ჭურჭელი, სავსე სარიტუალო ნივთებით.

**თამაზ ჩიქვაიძე.**

**(გაგრძელება იქნება).**

**(გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“, №7, 2025 წელი.)**

# გილოცავთ!



დიდი სიყვარულითა და სითბოთი ვულოცავ ჩემს შვილიშვილს, **ქეთა მელქაძეს** დაბადების დღეს, 15 მარტს. ვუსურვებ სწავლაში წარმატებას, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალ შემოქმედებით წინსვლას, მხნეობას, დღეგრძელობას, დასახული მიზნებისა და სურვილების ახდენას.
გვჯერა, რომ მონდომებული სწავლით, ყოფაქცევით, კონკურსებში გამარჯვებით გაგვახარებს!
ქეთა რჩეული მოსწავლეა რჩეულთა შორის, მელქაძეების გვარის ღირსეული წარმომადგენელია.
დაე, უმრავლოს ბორჯომს მსგავსი ღვთისნიერი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე წარმატებული ახალგაზრდები. ღირსეულად ევლოთ ამ ქვეყანაზე, ამაყად, თავდაჯერებულად.
ქეთას დაბადების დღეს მშობლებთან ერთად ვიზეიმებთ.
მრავალჟამიერ მის სიცოცხლეს. მშობლების და ბებია-ბაბუების გულები გაეხარებინოს. კიდევ ერთხელ გულწრფელად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს!

**სერგო მელიქიძე**

### პოეზიის კუთხე

## ეს არ არის მისტიკა, მხოლოდ რეალობაა

ღმერთმა, დაუსაბამომ, გარსშემოუწერელმან,
ვინც უსასრულოა და ვერაფერში თავსდება,
გამრავლება ინება და სამყაროს სავსება,
მადლით შექმნილ ღვთაებით სილაჟვარდის ავსება.
მოისურვა, ეგემა, სხვასაც მისი სიკეთე,
გაეხადა სიტკბოს და ნეტარების ზიარი,
ყოფილიყვნენ მისგვარად სიხარულში მრავალნი
და ამ ნიშნით, უფალმა, შექმნა ადამიანი.
თუმცა, ასე მარტივად არ ყოფილა ღმერთობა
და სამყაროს ახალი, სხვა ღმერთებით ავსება.
ბოროტებამ, შურმა და ეგოიზმმა იმძლავრა,
ოჰ, ძვირად დაუჯდინა, მავანს თავის არსება.
ძალზე ძნელი აღმოჩნდა კაცისათვის ეს ბრძოლა,
სამკვდრო-სასიცოცხლო და უმძიმესი გამოდგა,
თუმც კი ბევრმა ვნებებთან, ეშმაკთან და სოდომთან,
ისევ ღმერთის შეწევნით ჩააბარა გამოცდა.
დღესაც ბრძოლა შეჰფერის ადამიანს, ვით ღვთის შვილს,
სისხლის ბოლო წვეთამდე, რაც არ არის ადვილი,
და რაც ღმერთმა ინება, აღვასრულოთ ის ნება,
და მის ახლოს, ცოდვილთაც, დავიმკვიდროთ ადგილი.
აღვასრულოთ ღვთის ნება, ვიქცეთ ღმერთის შვილებად,
რადგან ღმერთმა ისურვა, რადგან ღმერთმა ინება,
ეს არ არის მისტიკა, არც სიტყვათა წყობაა,
ეს არ არის მისტიკა, მხოლოდ რეალობაა.

**ოლიკო ლომიძე,**
ექიმი

### 22 თებერვალი მიცვალებულთა მოხსენიების დღეა

## რა საჭიროა?

დღეს ჩემს მიცვალებულებს ვუმასპინძლე,
ხელდახელ გამაშლევინეს მაგიდა,
რაც მქონდა უშურველად სუფრა გავშალე და
დროც უცბად, წამებში გავიდა.
სულ 5 სადღეგრძელო წარმოვსთქვი, დავლოცე
წასულები, ცოცხლები, პატარები,
სიცოცხლის ბედნიერ მომავლის წუთები,
ის, რასაც გულით ვატარებდი.
მაგიდა გავშალე, სასმისი დავცალე,
ერთად გავისტუმრეთ წამები
და მერე მოთენთილი, ღვინით მთვრალი,
დასაძინებლად დავწექი.
მაგრამ ვინ მოგასვენა? ფიქრი ამედევნა,
ერთმანეთს ვუალერსეთ შორიდან,
სიკვდილ-სიცოცხლის შვილები შევხვდით და
ერთ-ურთის მოფერება მოგვინდა.
და ფიქრმა გონება ბურღივით გახვრიტა,
უფალო განმკურნე სნეული,
თუ ხალხი ცოდვა-მადლს სინდისით ვატარებთ,
რაღა საჭიროა სხეული?!

## გარდაცვლილ "ფანტანის ბიჭებს"

ქალაქის ქუჩას მივყვები ფიქრებით
და როცა ჩავუვლი ერთ ადგილს,
სევდა მეძალება, ოდესღაც ამ ქუჩაზე,
ძმაკაცების სიყვარულს ვხედავდი.
ბორჯომში, ფანტანთან, ფალიაშვილზე,
თამამად შეკრებას ბედავდნენ
და ზედმეტ სახელად ბიჭების საძმაკაცოს,
„ფანტანის ბიჭებს" ეძახდნენ.
ნელ-ნელა, ასაკმა თუ ავადმყოფობამ,
კუთვნილი წუთები წაართვა
და უმრავლესობა ამ საძმაკაცოდან
დაუბრუნებელ ქუჩას გაუყენა...
ერთმანეთს ხვდებოდნენ და გულით ხალისობდნენ,
ისმოდა ნარდის და კამათლის ხმა,
ერთმანეთს უამბობდნენ, თუ რამ ახარებდათ,
ფანტანის ჩხრიალიც აძლევდა ბანს.
დღეს კი თითო-ორი, თვალს თუ შემოხვდება,
სევდით გულავსილი ვაგრძელებ გზას,
გაფრენილ წლებს დარდობს ფიქრი ატეხილი,
მართლა განვიცდი და ვერ ვიღებ ხმას.
ე ჰ ე ი... „ფანტანის" სულით ძმაკაცებო,
თქვენს მსგავსად სხვა ვერსად ვერ ვნახე,
ფანტანს კი მოაკლდით და ახლა სხვა სამყაროში,
მანდ ისევ თუ ხვდებით ერთმანეთს?

პატივისცემით **იზო სარქისიანი.**

### სპორტი

# საქართველოს თასის გათამაშების გოდერძის ეტაპი!




**გრძელდება საქართველოს თასის გათამაშების რეგიონული ეტაპები სლალომსა და გიგანტურ სლალომში.** საქართველოს თასის გათამაშების მესამე ეტაპის მასპინძელი მთიანი აჭარა იყო. გოდერძის უღელტეხილზე, 22-23 თებერვალს, სამ ასაკობრივ ჯგუფად (2008-2012წწ) იასპარეზეს ახალგაზრდა სპორტსმენებმა. უამინდობისა და ყინვის მიუხედავად შეჯიბრი ორგანიზატორების ძალისხმევით წარმატებით ჩატარდა.

შეჯიბრში თბილისის, გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის, აჭარისა და სპორტული სკოლა ,,სკი ჰაუსის" გუნდის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. სპორტსმენები სამ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო.

ბაკურიანელი მოთხილამურეების შედეგები ასეთია:

2011-2012 წელს დაბადებულთა შორის,

გოგონები:

**ანანო სანაკოევმა** გიგანტურ სლალომში პირველი ადგილი დაიკავა, სლალომში - მესამე, ხოლო **თეკლა ვიბლიანი** გიგანტურ სლალომში მეორე ადგილს დასჯერდა.

ვაჟები:

**ალექსანდრე ნასყიდაშვილი** გიგანტურ სლალომში მესამე იყო.

2009-2010 წელს დაბადებულთა შორის,

გოგონები:

**ნინო გეორქოვმა** ორივე საშეჯიბრო დღეს იყოჩაღა და პირველი ადგილი არავის დაუთმო, **ანასტასია ვიბლიანი** გიგანტურ სლალომში მეორე იყო, ხოლო სლალომში - მესამე.

2008 წ. და უფროსი ასაკი:

**ირაკლი აბესაძე** სლალომში მესამე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს თასის გათამაშების რეგიონული ეტაპები საქართველოს კურორტებზე სათხილამურო ფედერაციისა და M.T.A („ემ თი ეი")-ს თანაორგანიზებით და სილქნეტის მხარდაჭერით იმართება. სამთო კურორტებზე საქართველოს თასის გათამაშების ეტაპების ჩატარებას ხელს უწყობენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. გოდერძის კურორტზე ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად არის ჩართული აჭარის სათხილამურო ფედერაცია, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აჭარის სპორტის დეპარტამენტი.

ის მოთხილამურეები, რომლებიც საქართველოს თასის გათამაშების რეგიონულ ეტაპებზე დააგროვებენ მაღალრეიტინგულ ქულებს, 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ჩემპიონატი გუდაურში 4-7 აპრილს, სილქნეტის მხარდაჭერით ჩატარდება. კომპანია მეორე ათეული წელია სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორია და დაარსების დღიდან უწყვეტად უჭერს მხარს სათხილამურო სპორტის განვითარებას.

### ჭადრაკი

# ჩემპიონები ჩემპიონებად დარჩნენ!



**ქ. ახალციხეში** 14-15-16 თებერვალს ჯერ 10-14 წლამდე, ხოლო 21-22-23 თებერვალს, 8-12 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ბორჯომის სპორტსკოლის მოსწავლეები: **ბარბარე შონია** (12 წლის), **თეა რუსიტაშვილი** (12 წლის), **იაროსლავა გორნა** (10 წლის), **გიორგი ლომიძე** (9 წლის) და **დავით როსტომაშვილი** (8 წლის).

**ბარბარე შონია,** უფროსი ასაკის, 13-14 წლის გოგონებს ეპაექრებოდა. გაუძნელდა, მაგრამ ტრადიციას არ ,,უღალატა"და ისევ გახდა (უკვე მერვედ!) სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი, მიიღო თასი, ოქროს მედალი და დიპლომი.

თანატოლებში უძლიერესი იყო თეაც. მან ყველა მეტოქე დაამარცხა და მესამედ გახდა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი. ისიც შესაბამისად დაჯილდოვდა.

კარგად ითამაშა უკრაინელმა ლტოლვილმა, ბაკურიანის საჯარო სკოლის მეოთხეკლასელმა **იაროსლავა გორნამ** (ის კარგად ლაპარაკობს ქართულად), მან 7 შეხვედრიდან ექვსი მოიგო, მხოლოდ ჩემპიონთან დამარცხდა (ეს პარტიაც შეეძლო მოეგო!) და ვერცხლის მედალს და დიპლომს დასჯერდა.

**გიორგი ლომიძე** და **დავით როსტომაშვილი** პირველად მონაწილეობდნენ ამ ჩემპიონატში. მათ საშუალო სიძლიერით ითამაშეს და ტურნირის მონაწილეთა შუაგულში მოექცნენ.

ბარბარემ, თეამ და იაროსლავამ საქართველოს ჩემპიონატის ფინალის საგზურებიც გაინაღდეს. ეს ფინალი ქ. ბათუმში, მაისში გაიმართება.

ვუსურვოთ გოგონებს წარმატებები!

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
მწვრთნელი.

### წერილი რედაქციას

## მე მიყვარს ჩემი ბორჯომი, შენ?



ეს გზა ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. ამ გზაზე გავლა სულიერად მამშვიდებს, ვიდრე ამ სიბინძურეს არ წავაწყდები. ბავშვობიდან მუდამ მიკვირდა, ასეთი ხალხი საიდან მოდიან... ჩემ შვილებსაც უკვირთ, რადგან უცხოა მათთვის გარემოსთან ასეთი ომი, ასეთი უპატივცემულობა. ეს უფროსმა დაყარა თუ უმცროსმა, არ ვიცი, რადგან ბევრი უფროსისგან ხედავს ამ საშინელ მაგალითს. ჩვენ ვიძახით ევროპა, ცივილიზაცია, კულტურა გვინდა... მაგრამ არავის გვინდა ეს გავითავისოთ. გული მტკივა, როცა ამ უმსგავსობას ვხედავ. მუდამ ეს კითხვა მიჩნდება: რატომ არ უფრთხილდებიან მშობლიური ქალაქის ღირსებას, მის ყოველდღიურ ცხოვრებას? საიდან მოდიან ეს ადამიანები? მე მიყვარს ჩემი ბორჯომი. შენ?

**მარი ბერიძე**

## ზურაბ აივაზოვის მოსაგონარი



წლები ისე უსაშველოდ მიჰქრიან...
ვერ მოასწრებ გაფიქრებას წამით...
ეს ცხოვრებაც სულ ერთ
სიტყვად გვითქვია,
ვერ შევძელით, გაგაკვირვოთ რამით.
სად გაფრინდა ექვსი წელი ტკივილის,
ეს რა უცებ გაიფანტა ფიქრად...
შენზე ყველა მოგონება გვიღიმის,
შენი ყველა დარიგება გვინდა...
გვეფიქრები, გვენატრები, გვაკლიხარ,
სული კივის რომ ვიაზრებთ ტკივლის...
ჩვენს სიზმრებში ჩირაღდანად ანთიხარ
მოგვენატრა შენი სითბო ტკბილი...
გული ტირის, სევდა გვიპყრობს უშენოდ,
დარდის მეგზურს ვუწოდებდით ჩვენ თავს,
თუმცა გული დაჭრილი და მტკივანი,
მაინც დიდი სიამაყით ფეთქავს...
შენ ჩვენში ხარ, სულ ანთიხარ სანთელად,
ჩვენი ფიქრის მესაყდრე ხარ სულ და
ჩვენი მოდგმის არსებობის ბოლომდე
შენს თბილ სახელს გავაგრძელებთ მუდამ!

**შენი ოჯახი**
19.02.2025

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე